რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში [illegible] ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, სტრიქონზე 1 კაპ. [illegible] სტრიქონზე ნახევარი კაპ., წვრილ ასოებით სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადებანი მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


თავადი ნიკოლოოზ თადიას-ძე ჩოლოყაევი და კნეინა მელანია ჩოლოყაევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას თვისის უნცროსის ასულის მაშოსას, სთხოვენ ნათესავთ და მცნობთა მობრძანდნენ 10 საათზედ დილით 13 ნოემბერს, გასვენების დროს გარდაცვალებულისა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

# ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 11 ნოემბერს. მმართებლობის უწყების შუამავლობით ფინანსთ მინისტრი აცხადებს; რომ გაზ. „სტრანას“ სტატია მასზედ. ვითომ ხაზინის მიერ 50 მილიონის გადახდა და მიცემა სახელმწიფო ბანკისათვის ამ წელს, იყო მიზეზი რუსეთის ფულის ფასის დაცემისა ბერლინის ბირჟაზე—ტყუილია.

ყაზანის უნივერსიტეტის გაუქმების საგანი—არის გამოძიება არეულობის მიზეზებისა და აღმოჩენა წინამძღოლისა და არეულობის მოთავეთა; ამისათვისაც დანიშნულია ხუთის წევრისაგან შემდგარი კამისია.

პეტერბურღი, 11 ნოემბერი. კასაციურ დეპარტამენტმა $^{10}/_{11}$ ნოემბრის სხდომაზე იმ საქმის შესახებ, რომელიც თავად მინგრელსკის ჭქონია ამიერ-კავკასიის რკინის გზის საზოგადოებასთან დაუდგენია შემდეგი: გაუქმებულ იქმნას გარდაწყვეტილება ქუთაისის სამსჯავროსი და ტფილისის სამოსამართლო პალატისა და კვალად იქმნას განხილული პალატის სხვა წევრების მიერ.

## დღიური

ამ უკანასკნელის დღეებში ტფილისში ვხედავთ რაჭიდამ ჩამოსულ ხალხს, მეტადრე ყმაწვილებს, რომელთაც მოსამსახურედ აყენებენ. ამ ჩამოსულებში ზოგჯერ დედა-კაცებიც ურევიან მოსამსახურის ადგილის მძებნელები. ყმაწვილები შვიდის წლიდამ მოყოლებული თხუთმეტ წლისამდე არიან; დიდი ხანია, ამოდენა ჩამოსული ხალხი არ უნახავს ქალაქს.

მიზეზი ამისა წლევანდელი მოუსავლობაა, რომელმაც რაჭა შეაწუხა და მცხოვრებლები აქა იქ გაფანტა ზოგი ჩრდილოეთ კავკასიაში და ზოგი ქართლ-კახეთში.

ჩვენის აზრით, ისევ ქალაქისკენ და საზოგადოდ ქართლ-კახეთში ან იმერეთში სჯობია დროებით ჩამოსვლა, ვიდრე უფიქრელად ჩრდილოეთ მხრებში ან სხვაგან დასახლებასა. ბინის მოკიდება უეცრად არ შეიძლება სადმე, მეტადრე ჩრდილოეთში, რომლის ჰაერი ბევრს გასწყვეტს.

* * *

ეს სამი ოთხი წელიწადია, რაც ქსნის ხეობაშიაც გახშირდა სოფლებიდამ ხალხის გადასახლება. უწინაც კი გამოდიოდა ქსნისა, არაგვისა და გუდა-მაყრის ხეობიდამ ხალხი, მაგრამ იშვიათი იყო. თითო ორი კომ. თუ გადმოსახლდებოდა, მანგლისისკენ ან ზემო ქართლისკენ იჩენდნენ ბინასა. (სამწუხაროდ, სომხითში სადაც დიდი ადგილებია ორბელიანთა, ბარათიანთ და მელიქიანთი, სიცხეიცის და მებატონეების უთაურობით უწყლობა სჭირს და ეხლა წყლიანი ადგილები ბერძნებს დაუჭერიათ). ამ სამიოდ წელში კი უფრო გახშირდა ქსნიდამ გადასახლება; ამ ქვემოხსენებული ადგილებიდამ. ქარჩოხის, ცხრაძმის და შამურის ხეობიდამ ასამდე კომლი. ამ ხეობებში 15 პატარა სოფელია; შემდეგ არახვეთიდამ 8 კომლი, ბეიდაქიდამ 7 კომ., ნადაბანიდამ 2 კომ., კორის და ბეზევრეთის საზოგადოებიდამ 60 კომ. თითოდამ 30 კომლი. ამ სოფლებში მოსახლეთ რიცხვი, თითოში, იქნება 20—40-მდე. გადასახლებულთ რიცხვი იქნება ათზე ორიდამ სამამდე. ეს შესამჩნევი პროცენტია.

ქსნიდამ და არაგვიდამ გადასახლებულნი ვლადიკავკაზისკენ სახლდებიან. მაგრამ სამწუხარო მდგომარეობას უჩივიან: ოსები და ქისტები არც საქონელს არჩენენ და არც ასვენებენ. ამის გამო ზოგნი ისევე ბრუნდებიან, როგორც გლეხები ამბობენ „ურჯულოებისგან“.

დროა ვგონებთ, რომ ისევ ტფილისის, ქუთაისის ან ბათომის გუბერნიებში მთავრობამ და მამულის პატრონებმა მოუმზადონ დასასახლებელი ადგილი. საჭიროა დიდის ყურადღების მიქცევა იმაზე, მოსახლეთ იმისთანა ადგილები უშოვნონ, რომ ძველ ბინის ჰაერი, მიწა წყალი და მდებარება ჰქონდეს; ამასთანავე ქართველობასთან ახლოს იყვნენ. ამიტომ რომ მაგალითად მთის ხალხი ბარის რიცხვს ვერ უძლებს, მშრალს ადგილს ჩვეული ნოტიოანში ვერ დგება და ქართველი ოსებთან და ქისტებთან.

* * *

წლევანდელის გვალვისაგან შეწუხებულ ხევსურებს, ამბობენ, უეზდის და გუბერნიის მთავრობამ შემწეობა აღმოუჩინაო. კომლზე ექვს ექვსი მანეთი დაურიგებიათ პურის სასყიდლათ. ეს მეორე წელიწადია ამ გვარს მზრუნველობას უწევს ჩვენი პატივცემული გუბერნატორი თ. გაგარინი და თიანეთის უეზდის უფროსი თ. აფხაზი. თუ ეს ამბავი მართალია, სწორედ რომ მადლობის ღირსნი არიან.

* * *

ამ ჟამად გვესმის, ვითომც თავადი გაგარინი გუბერნატორობის თავის დანებებას აპირებდეს. ეს ამბავი სამწუხაროდ მიგვაჩნია, რადგანც იგი არის ერთი უკეთეს გუბერნატორთაგანი, რომელიც ჩვენ გუბერნიას ჰყოლია. ძალიან ვისურვებთ, რომ ეს ხმა ტყუილი გამომდგარიყოს.

* * *

ჩვენ მივიღეთ ზემო-იმერეთიდამ შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის 227 №-ში არის დაბეჭდილი შორაპნელი ბლაღოჩინის მ. დ. ღამბაშიძის სტატია, რომელშიაც მას ყურადღება მიუქცევია ერთ ბოსლეველ ავაძყო-

---

«დროების» ფელტონი, 13 ნოემბერ

## გორიდამ ატენამდის

(მგზავრის შენიშნვები)

ატენის ხეობაზედა,
გავყვავი ხეობაზედა!
ხალხური.

სოფელი ატენი მდებარეობს ქ. გორიდამ აღმოსავლეთ-სამხრეთიკენ. მგზავრის ჯერ პირველათ დაუხვდება გზაში სოფელი ხიდის-თავი, რომლის მომეტებული ნაწილი ვენახებისა ეკუთვნით გორელ სომხებს.

ამ სოფლიდამ სამხრეთისკენ არის პატარა სოფელი ჯებირი. ეს სახელწოდება უნდა ჰქონდეს, ჩემის ფიქრით, იმ კაცის გამო, რომელიც ცხოვრებულა როსტომ მეფის დროს და ჰქონია სიმაღლე სამი ადლი და დამარხულია რაზმითის ხევში, ვახუშტის სიტყვით.

ამ სოფელში თუმცა ხუთ-ექვს კომლამდის მეტი არა სდგას, მაგრამ ქვითკირის სახლები და ბოსლები უდგიათ და მხოლოთ ვენახები აქვთ ნაკლებათ. თვით სოფელი ორ მაღალ გორის შუაა აშენებული, ერთი უძევს აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით; ამათ შუა ჩამოდის მდინარე ტანა, რომელზედაც ხალხური ლექსია ნათქვამი:

ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის ტანაო,
დედამ რო შვილი გაზარდოს,
ეგრეთი შენისთანაო.

დასავლეთს მხარეს, კოდიან გორის წვერზედ, სდგას ძველი დაქცეული ეკკლესია წმიდა ბარბარესი. ეკკლესიის დასწვრივ ჩრდილოეთის მხარეს პატარა მრგვალ გორაზედ სდგას აგრეთვე მომცრო და თალ-ჩამოუქცეველი ძველი ეკკლესია, რომლის დასწვრივაც, სოფლის პირში, გზის პირაზედ სდგას სხვა, უფრო მოზდილი და თალ-ჩამონგრეული ძველი ეკკლესია ქვითკირის გალავნით და ნასახლარით, რომელიც ალბათ ეკუთნოდა თავის დროს წარჩინებულ პირს. ამ ეკკლესიის ძეგლ-წარწერა ჩამოვარდნილია დღეს თავის ალაგიდამ, რომელზედაც ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს.

„ქ. მოიხსენე და შეიწყალე უფალო გოგიბაშვილი ზალ მდივანი მეუღლებიურთ მისა მათის მიხეილისა და გაბრიელისა აღსაზდელათ საყდრისა აღმაშენებელი წმიდის შენის ტაძრის ღვთის მშობლის ამის“.

ჯიბორის დასავლეთ-ჩრდილოეთს მხარეს არის მცირე მინდორი. სადაც ეს მინდორი გათავდება ჩრდილოეთისკენ, გორაზედ მოჩანს წედისის ციხე, რომლის მცხოვრებლები დიდი ხანია გადასახლებულან რაჭაში და გადაუტანიათ აქაური სოფლის სახელი წედისი.

ხსენებულ ორ გორას შუა რო გზას გაივლით, მარჯვენივ ნახავთ კარგა მოზდილ ციხეს. აქედამვე აღმოსავლეთ ჩრდილოეთისკენ არის სოფელი ბარდატენი, რომლის მცხოვრებლებიც არიან წმინდა ქართველები გადმოსახლებულნი სხვა-და-სხვა სოფლებიდამ 1834 წელს.

აღმოსავლეთ სამხრეთს მხარეს ბუჩქნარით მოცულ გორის ფერდობზედ ზედა-ველის ციხე, რომლის ძირში მომდინარებს მცირე მდინარე—ატრევა.

ამ მდინარის ხეობაზე ბევრი ძველი ეკკლესიებია, რომლების ნახვაც აწ ვერ მოვასწარ.

თვით ბარდატენში ოთხი ძველი ეკკლესიაა; ერთი ამათგანი გაახლებულია ღვთის მშობლის სახელობაზედ,—გორა, რომელზედაც ზედაველის ციხე სდგას, გათავდება დასავლეთისკენ და იწყება ატჰენის ხეობა. ამ ხეობის პირში აღმოსავლეთისკენ სდგას დიდი გიორგი ერისთავის სასახლე. ამის წინ მშვენიერი ხეხი-

ფის ცუდი მდგომარეობისა და იქაური მღვდლის მ. ს—ის ქველმოქმედებისათვის.

„სასურველია ის სიბრალული და ყურადღება, რომელიც ბოსლეველ მღვდელს აღძვრია, ყველა მღვდლის ღირსებას შეადგენდნენ, მაგრამ ის აზრი, რომელიც თვით ბლაღოჩინს აღძვრია ამის გამო, კი სასურველია იმას იქით არ წავიდეს.

„ამ უკანასკნელს უსურვებია გააკეთოს პატარა სენაკები ეკკლესიებთან ქლერქიანი ავადმყოფებისათვის. ეს, ჩემის აზრით, შეუძლებელიც და მასთან მავნებელიც უნდა იქმნეს: პირველად მით, რომ ყველგან მისი მეგობარი მღვდელი მ. ს. არ იქმნება, რომ იკისროს ამისთანა ავადმყოფების მოვლა და პატრონობა და მეორედ — ამით სრულიად დარწმუნდება უმეცარი ხალხი, რომ ამისთანა ავადმყოფები მართლა საშიშნი იყვნენ და მათი გაცალკევება, ოჯახიდგან მოშორება აუცილებელი საჭიროება იყოს.

„ამისთანა შემთხვევები, როგორსაც მოგვითხრობს მ. ბლაღოჩინი, თუმცა წინეთ მართლა ხშირად ხდებოდა, მაგრამ ახლა ძვირად არის; და თუ მღვდლები ამისთანებს, ცოტაც არის, ყურადღებას მიაქცევენ, შეუძლიათ ჩააგონონ ხალხს და სრულიად მოასპობინონ ამისთანა შესაზარი ცრუ-მორწმუნება მოძღვრული დარიგებით და არა სენაკსა და კარვებში ავადმყოფების გადაწვენით. ეკკლესიის გალავანში სიკვდილის შემდეგ არ ეყოფა საწყალ უიმედო ავადმყოფს წოლა, რომ ცოცხალიც იქ არ დააწვინონ!“

შ. ხ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ლეჩხუმი, 5-ს ნოემბერს. ყმაწვილობის დროს ბანქოს გოჯიალა თუ დაგიდგამს, ჩემო მკითხველო, ისიც გეხსომებათთუ რანაირ გულს მოდგინეთ უვლიდი და სცდილობდი არავის წაექცია იგი; მაგრამ რამოდენიმე მინუტის შემდეგ შენი გული გრილდებოდა და ბოლოს თვითონ შენის ხელით დაგინგრევია ხოლმე.

სწორედ ამ გვარ სურათს წარმოგვიდგენს დღეს ჩვენს მაზრაში ხევისთაობის საქმე. დიდის ფიქრისადა მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქნა დაარსა ჩვენმა საზოგადოებამ ქურდობისა და ცარცვა-გლეჯის მოწინაღმდეგე ძალა, ხევის თაობა, და მართალი უნდა სთქვას კაცმა, პირველ ხანებში ჩინებულადაც მიდიოდა საქმე: ხევისთავები გულს მოდგინეთ ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს და საზოგადოებაც სრულს თანაგრძნობას უჩენდა ყველა შემთხვევაში მათ.

მაგრამ სამწუხაროდ ამ გვარს მდგომარეობაში ძალიან ცოტა ხანს იყო ჩვენი ხევის თაობის საქმე; რამდენმა ხანმაც გაიარა იმდენი სხვა-და-სხვა მღვრიე წყალი შეურიეს ამ საქმეს, და ბოლოს იმ ზომამდისაც მიიყვანეს, რომ სრულიად აცვლევინეს ფერი. საზოგადოებასა და მის ხევისთავებთ შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა შესახებ იმისა, რომ ერთბაშად იმდენი ფულის დარიგება ხევის თავებზედ, რომელსაც ისინი გადაკეთებული პროექტის ძალით თხოულობენ საზოგადოების უმეტეს ნაწილმა მეტად დაინახა; მაზრის უფროსმა თვისის ამალით, რაკი თანახმად თვისის წინადადებისა არ წარუდგინეს ბანკის დასაარსებლად საჭირო ფულები—თხუთმეტი ათასი მანეთი, ზემოხსენებული საქმის შესახებ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

და აი ამ ნაირად აიმრღვა ჩვენში ზემოხსენებული საქმე და ისპობა კიდეც, ხევისთავები აღარას დაეძებენ, გზებში ყარაულები აღარა სდგას, და ამ ნაირად მიეცა კიდევ გზა ხსნილი ჩვენი მაზრის მცარცველ ავაზაკ პირებს. ჩვენი მაზრის უფროსი თვისის კონცელარიით ამ თავითვე გადადის სოფელს ცაგერში, თუმცა ის შენობა რომელშიაც უნდა დაბინავდნენ, ჯერ კიდევ ვერარის საკმაოდ მოთავებული. მომრიგებელ მსაჯულსაც აძლევენ თურმე წინადადებას, რომ ესეც თვისის კონცელარიით გადავიდეს ამ ზამთრითვე, მაგრამ ეს უკანასკნელი-კი უარს ამბობს თურმე, რადგანაც იქ არ არის ძზად საჭირო შენობები, რომელშიაც უნდა დაბინავდეს. სანამ საჭირო შენობები, რომელშიაც უნდა დაბივავდეს. სანამ საჭირო შენობები არ იქნება გზათ და მეორე ჩემი მთავრობისგან არ მომივა ბრძანება, მანამ აქედამ ვერ დავიძვრიო, და ეს უარი მსაჯულისა, მართალი უნდა გითხრათ, ყოვლად საფუძვლიანია. სახლების სიძვირე ს. ცაგერში იმ ზომამდის მისულა, რომ კერძო პირებს გარდა, რომლებსაც ეუბნებიან თურმე, უნდათ თუ არა, დასცალონ თავის სახლი ჩინოვნიკებისათვის, თვით მონასტრის არხიმანდრიტისათვის მიუციათ წინადადება, რომ დაცალოს თავის საწინამძღვრო სახლი პოლიციის ან სუდის მოსამსახურე პირებისათვის, სანამ საჭირო შენობები მოთავდებოდეს, და თვითონ ამ პატივცემულმა ბერმა სად შეიფაროს თავი-ამას კი აღარ კითხულობენ!! მაგრამ მამა არხიმანდრიტს დიდი უარი მოუხსენებია ამ საგანზედ. გვაკვირვებს ამ გვარი აჩქარება. განა არ შეიძლება, როდესაც სრულიად დამზადებული იქნება შენობები, მაშინ გადიტანონ კონცელარიები? ჩვენის აზრით, კიდეც რომ იშოვონ კერძო პირების სახლები სოფელში, მაინც მოუთავსებელი იქნება სასამართლოებისათვის. მაგრამ ის პირები რომლებსაც ცოტათი ვარძებული სახლი უდგიათ, არას გზით არ თანხმდებიან თურმე თავის სახლის დატოვების, ან რა ნაირად უნდა დასტოვონ, ჩვენებურს აზნაურობას თითო შენობა უდგათ, რომელშიაც თავის სახლობით სცხოვრებს, ის დასცალოს, თვითონ საიდლა უნდა წავიდეს, ოჯახს ხომ ვერ დაანგრევს?! მაგრამ შეიძლება ესეც მოხდეს.

წარსულ წელში გამოჩენილის კუდიან ვარსკვლავისაგან აღძრული შიში და ათას გვარი ცრუ მორწმუნოება ჯერ კიდევ არ იყო ჩვენს ხალხში გამქრალი, როდესაც მას კიდევ გამოუჩნდა ამ გვარი დასაფიქრებელი დაძრწოლასში შემყვანი მოვლენა: კარგა ხანია რაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზედ შვალამის მეოთხე საათზედ გამოიჭიმება ხოლმე უზარმაზარის კუდით უჩვეულებრივო „კამეტა“. ეს კუდიანი ვარსკვლავი ძალიან განსხვავებულია თვისის მოყვანილობით და გამოჩენის რიგითიც იმ ვარსკვლავებისაგან, რომელიც ჩვენს თანამედროვე ხალხს უნახავს სამყაროზედ, და ამ გარემოებამ, არა თუ დაბალი ხალხი, ბევრი მაღალი წოდებისაც დააფიქრა, და ათქმევინა კიდეც: „—სწორეთ ქვეყნის დასასრულმა მიაღწია! გაიმსო ქვეყანა ცოდვითა და ურიგო მოქმედებით სარწმუნოება შესუსტდა მის წესებს აღარავინ აღსრულებს, ნათესაობა აღარსად არის სირცხვილ-ნაგესი სანთლით საძებნელი შეიქნა, ცოლ-ქრმობის წესი და კანონები შეიცვალა, მამა შვილს აღარა სწამს, მღვდელი თავის მრევლს და სხვა, და ამ გვარ მდგომარეობაში მყოფს ერს, რაგასაკვირველია, ღმერთი გაურისხდესო!!“ ამბობენ. ურჩევთ იმ პირებს, რომლებსაც ზემოხსენებულმა ვარსკვლავმა განთიადის ტკბილი ძილი დაუფრთხოთ, დაიმშვიდონ გული, დაიჯერონ პროფესორის ბრედიხინის სიტყვა, რომ ეს ვარსკვლავი გამოჩენილა 1668-ს წელში ამ ნაირადვე, და თუ მის შემდეგ აღარავის უნახავს, ეს იქიდამ წარმომდგარა, რომ ეს კომეტა მზის ირგვლივ შემოვლას მოანდომა ორი საუკუნე და თოთხმეტი წელი! მაშ ქვეყნის დამხობის წინამორბედი არ ყოფილა.

ჩვენი სოფლებიდამაც დაიწყო გლეხკაცობამ გადასახლება; ზოგი აფხაზეთისა და ზოგიც ცალი გვერდის მხრისაკენ ემგზავრებიან; წლევანდელმა

---

ლის ბაღი, ბაღის წინ ხერხის ქარხანა წყლით მომუშავე (აწ დაუქმებულია) და წისქვილი. ბაღისა და სასახლის ზემოთ გზის პირზედ არის ძველი ეკკლესია წმიდა გიორგი მთავარ მოწამისა, რომლის ჩამოვარდნილ ძეგლ-წარწერაზეა შემდეგი სიტყვები:

„ქ. წმიდა გიორგი მეოხ იყავ პატრიარქსა დომენტის, რომელმან აღვაშენე საყდარი ესე წმიდისა გიორგისა ქორ: უე—(1717 წელს).

ამ ეკკლესიის ზემოდამ, აღმოსავლეთისკენ, გზის პირას ამოდის გოგირდის წყალი. ამის პირ-და-პირ დასავლეთისკენ კლდეზედ სდგას პაწკია ძველი ეკკლესია; აქედამ რომ გაივლით მცირე გზას, დაინახავთ მარცხნივ ჭექელანთ-უბანს, სადაც სჩანს ორი დანგრეული ეკკლესია.

ამ უბნის კარგა ზემოთ არის პავლიანთ-უბანი. ამის თავში, სამხრეთ, გორის ძირში—ნაეკკლესიარი. პავლიანთ-უბანს კიდევ ზევით, დასავლეთ-სამხრეთისკენ, მაღალ ფრიალოო კლდეზედ სდგას ატენის ციხე. ამის ძირში სამხრეთისკენ თვით სოფელი ატენი, რომლის მცხოვრებლებიც არიან მთიულნი და ოსები აწ გაქართველებულნი. აქ გადმოსახლებულან 1821 წხლს.

აქაურები შრომისა და ლხინის მოყვარულები არიან. მომეტებულ ნაწილად სარგებლობენ ხე-ტყით. ბევრს ცხვრებიცა ჰყავთ, რომლის მატყლიდამაც ამათი ქალები ქსოვენ მშვენიერ შალებს და წინდა პაიჭებს. ქალებიც შრომისა და აგრეთვე ჩაცმა-დახურვის და ლხინის მოყვარულნი.

სამი დღე დავრჩი აქ და ამ სამს საღამოს განუწყვეტლივ გაისმოდა გარმონის ხმა, რომლის გარშემოც იკრიბებოდნენ თითქმის მთელი სოფლის ქალები და გოგოები. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ქალებისგან სიმღერა სირცხვილად ყოფილა მიღებული; უწინ ამათი დედა-ბებია მშვენიერის ხმით დასძახოდნენ ფერხულზე „შავლეკოს“, ამათ კი სასირცხვილოდ მიაჩნიათ მშვენიერი ქართული სიმღერების თქმა და გარმონიის ჰყვიტინი კიკარგი ჰგონიათ.

ამ უკანასკნელ ჟამს, დროთა მიხედვით, აქაურები აშენებენ ქვითკირის ოთახებს, ზოგი ორ სართულიანსაც. სოფელში სამი ეკკლესიაა, ერთი ამათგანი მოზდილი და გუმბათიანი ნაკურთხი ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის სახელზედ, რომელშიაც მუდმივი წირვა-ლოცვაა.

აქაურებს ბევრს ძველთაგანი მარნებიც აქვთ ნაპოვნი თავის ქვევრებით, რომელშიაც აყენებენ თავიანთ მთელს ქართლში განთქმულ ღვინოებსა.

მდინარე ტანას ორსავე კიდეებზედ მიზდევს ვენახები. თვით ტანაში იცის ხშირი და გემრიელი კალმახი; კლდე-ბუჩქნარებში — გარეული ქათამი.

ატენში მცხოვრებლები იქნებიან ას-ათ კომლამდის; ამათში არც ერთი სომეხი არა სცხოვრობს.

აქაურებს ჯერ კიდევ ვერ მიუგნიათ კაცს ყველაფერში გამწურთნელის, შნოს-დამდების და სნელის გზის ფარან—სკოლისთვის, რომელიც ამათთვის ადვილი შესანახავი იქნება, თუ რომ გარდატნელებიც მიუდგებოდნენ, როგორც ერთ სამამასახლისოს. მაგრამ სად არის იმდენი მოხერხება, სად არის ჩამგონებელი?

სოფლიდამ, კარგა მოშორებით, სამხრეთისკენ სდგას ძველი დიდი ტაძარი, ყოვლაწმინდა ღვთის-მშობლის სახელობაზედ, აშენებულია მეთერთმეტე საუკუნეში მეფე ბაგრატ მესამისაგან (როგორც პლატონ იოსელიანი ამბობს). განსაკუთრებით ყურადღებას იტაცებს ამ ტაძრის ხუროთ მოძღრობა რომელიც გადმოღებულია ეჩმიაძინის ტაძრიდამ. გარედამ მორთულია სხვა-დი-სხვა მშვენიერი სურათებით, რომლებიც გამოქანდაკებულნი არიან ქვისაგან, არის სხვათა შორის სამსონ ჯაბუკი როდესაც ლომს შუა ხლეჩს. შიგნიდამ კედელ-

ე წელიწადმა უფრო გადააწყვე- ა, მათ თავიანთ სამშობლო მხარეს ევება. საცოდავ სურათს წარმო- ენენ აყრილი ოჯახები თავიანთ ილი-შვილებით და წვრილ-ფეხი ნლებით გამგზავრებული უცხო ანაში ღმერთმან ხელი მოუმარ- თ.

თ. ქაიხოსრო გელოვანი.

## შენიშვნა.

თუ მკითხველი მოიგონებს, ამავე არს გლეხთაგანს ეკუთვნის კორ- ესპონდენცია „ხცისის მონასტერი“, ელიც იყო დაბეჭდილი ამ წლის ოებისა“ 153 №-ში. ამ კორ- ესპონდენციასთან მოუგზავნა რედაქციას ისის მონასტრის წარწერა, ისე ნამ- ლი და იმ ფორმებით გადმოხატუ- , რომელთაც თვით წარწერა წარმო- ენს. ამ გვარათვე გადმოუღია ჩვენ კორესპონდენტს დიდი წარწერა ატენის ონისა, რომელიც ერთის შეხედულო- ვე უჩვენებს მეთერთმეტე საუკუნეს. საწყინოა „დროების“ მკითხველებს ჭეშმარიტოთ ის მნიშვნელობა, რომელ- ახლანდელი მეცნიერება მიაწერს ნამ- ილის ფორმებით გადმოღებულს წარ- წერებს. ერთი შტო არხეოლოგიისა, იგი პალეოგრაფია მხოლოდ ძველ -წერილებს არკვევს და ამტკიცებს, ყველა ხალხში მწერლობა დროს ვლობაში ისიც იცვლება, რომ, ვინც ვაგანს თვალ-ყურს ადევნებს, ის დაუ- ოლებლივ გაარჩევს სხვა-და-სხვა საუ- ოების ხელს, ასე რომ იმას შეუძლიან ჭეშმარიტებით სთქვას, ესა-და-ეს ნაწერი და-ამ საუკუნეს ეკუთვნისო. ქართულ პალეოგრაფიაშიაც ამ გვარი განსხვავება ჩნდა. ჩვენი ხუცური, როგორათაც ერული დროს განმავლობაში ისე ვლება, მაგალ. მეათე საუკუნის ხე- რომ მეთხუთმეტე საუკუნის ხელს თანასწოროდ, გაკვირვებაში მოხვალთ. ნსხვავება იმ გვარია, რომ ახლანდელ ართველს, შეუსწავლელად არ შეუძლიან არკვიოს, არა თუ მეათე, ანუ მეთერთმე-ტე საუკუნის ხელი, მეცამეტე საუკუნისაც კი. ამისთვის არის საწყინო, რომ თვითოეულმა ჩვენში, ვისაც რაიმე წარწერა გადმოაქვს ეკკლესიისა, თუ ხატისა, ძველის ხელ-წერილისა, ისე გადმოიღოს ისა, რომ ნამდვილში არ გაირჩეოდეს. ამ გვარად შეიძლება ყველა ნაწერს თავისი დრო და საუკუნე აღმოუჩინოთ, თუნდა რომ ნაწერის შინაარსი ანუ ქორონიკონი არ უჩვენებდეს დროს.

ეს მესამე წარწერა მოგვდის ჩვენ პალეოგრაფიულის ხელოვნებით გადმოღებული, ანუ გადმოხატული. პირველი ეკუთვნის წალკის სასწავლებლის მასწავლებელს ბერძენს იაკიმოვს, რომელმაც, როგორც დაგვარწმუნეს, ქართული სრულებით არ იცის, არც კითხვა, არც წერა. იაკიმოვს გადმოუღია ძველის ეკკლესიის ნანგრევის წარწერა ქციის ანუ ხრამის მდინარეზე, რომელშიაც მოხსენებულნი არიან მეთერთმეტე საუკუნის განვითარებულნი პირნი ერისთავი რატი და შვილი მისი ლიპარიტ. მეორე წარწერა იყო ხცისის წარწერა—ჩვენის გლეხისა, მოხსენებული „დროების“ 153-ს ნომერში. მესამე წარწერაა იმავე გლეხისაგან მიღებული ატენის სიონის წარწერა. სამსავე ამ წარწერას ჩვენ ვინახავთ და იმედი გვაქვს ოდესმე ქართულ პალეოგრაფიულს ტაბლიცაში შევიტანოთ. ღმერთმა ინებოს ჩვენმა ყმაწვილ-კაცობამ იაკიმოვს და გლეხს მიჰბაძოს და ამათგან ისწავლოს პალეოგრაფიული ხელოვნება.

სიონის წარწერის შინაარსი, რომელიც მხედრულის ასოებით შემოგვაქვს აქ, არის შემდეგი:

„ქ. სახელითა ღვთისათა მე გურგენმან მირიანის ყმამან თარხუნის ძისამან ატენისა ციხის თავმან ავაგე ატენს სახლნი და ქულბაგი მას ჟამსა ოდეს—ადიდენ ღმერთმან—ძლიერმან მეფეთ მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა სეფესა ზვარსა შიდა ქალაქსა შენებათ; გაუმარჯვა ღმერთმან და ბედმან მეფობისა მათისამან, ვითა სწადდა მეფობასა მათსა ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალნა მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკვიდრად, ნებიერობით გვიბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთა შენებათ შეუძლო; მე ავაგე სახლი და ქულბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისასა, საყოფელსა წმიდისა ღვთის-მშობლისასა, სალოცველად ჭგიანმცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთ-მეფე ბაგრატ სევასტოსი და მე მათი გიორგი და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისათვის დავდევ დღე თევდორობა აღაპად, გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღვარი სიონისა ვინცა იყოს“.

ეს წარწერა სამჯერ იყო გადმოწერილი: ფრანცუზის დიუბუასაგან 1830 წ. ევგენიოს ეგზარხოსის დროს, და აკადემიკის ბროსსესაგან 1847 წ., მაგრამ სამჯერვე შეცდომებით. დახელოვნებით გადმოღებული ახლა ჩვენმა გლეხმა მოგვცა. ამის პირი ყოველს შეცდომილებას უჩვენებს წინანდელ პირებში. ამ წარწერის საფუძველზე ამყარებენ იმ აზრს, რომელიც პირველად წარმოსთქვა დიუბუამ და მიღებულია საზოგადოდ ახლა, ვითომც სიონი აშენებული იყოს ბაგრატ მეფისაგან ეჩმიაძინის წმ. რიფსიმეს ეკკლესიის პლანის მიბაძვით. მაგრამ ეს აზრი ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია. ერთი ეს, რომ წარწერა ბაგრატს არ იხსენიებს სიონის აღმაშენებლად, მეორე ეს, რომ მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატის დროს არც ერთ ეკკლესიას არა ვპოულობთ ამ გვარსა: როგორც პლანი იმისი, აგრეთვე იმისი არხიტექტურული ხელოვნება და ჩუქურთმები მოგვაგონებს ჯვარის მონასტერს არაგვის გაღმა მცხეთის პირ-და-პირ მთაზე. ვინც კი დააკვირდება ერთსაც და მეორესაც, ის უეჭველად დარწმუნდება, რომ ორივე ერთ დროს არის აშენებული, ესე იგი მეშვიდე საუკუნეში. როგორც ჯვარის მონასტერში, აგრეთვე სიონში მეთერთმეტე საუკუნისას ჩვენ ვერასა ვპოვებთ, გარდა ზემოდ მოყვანილის წარწერისა და მხატვრობისა. ეს აზრი დაბადა ჩემში წლევანდელმა ჩემმა მოგზაურობამ ატენის ხეობაში, სადაც საუბედუროდ ნახევარ საათს მეტ[illegible] ვერ დავყავ სიონში, ის[illegible]. მე მხოლოდ დავათვალიერე სიონი და ატენის ხეობა და რადგანაც მრავალი აღმოჩნდა იქ ძველის დროის ნაშთი, მისთვის დავაპირე ორი-სამის დღით მოვლა და საზოგადო გამოკვლევა, მაგრამ ამ გვარი მოგზაურობა ჯერედ ვერ მომიხერხებია. აქ, ჩემის აზრით, ბევრი რამ უნდა იყოს ღირს სახსოვარი.

დ. ბაქრაძე.



# განცხადებანი

—

ტფილისის თავად-აზნაურთა

## ბანქისაგან

ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მეთხუთმეტე (XV) ტირაჟში, რომელიც მოხდა 10 ნოემბერს 1882 წ., გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირაოს ფურცლებისა:

1) გირაოს ფურცლები გამოცემულნი 28 მაისს 1874 წელს ბანკის წესდების საფუძვლით.

I სერიისა

18 წლისა და 7 თვის.

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა №№ მეთერთმეტე (11), მე ოც-და-ორე (22) მეთვრამეტე (18) მეცამეტე (13), მე შვიდმეტე (17), მეთოთხმეტე (14), ოც-და-მეერთე (21) მეთექვსმეტე (16) და მეცხრამეტე (19).

II სერიისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა ან მეორე (2).

27 წლისა და ნახევრის

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა № ას-ორმოც-და-მეშვიდმეტე (157)

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № სამოც-და მეოთხე (64) ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ (2) და ას სამოცდა-პირველი (161)

54 წლისა და ნახევრის

ას (100) მანეთიან ღირსებისა № (1).



ლ ბიზანტიური მხატვრობის ნახატე- ა, რომლების თუმცა ზოგი ალაგე- წაშლილია, მაგრამ ძალიან ჰგვა- ნ ქართველ მეფეებს თავიანთ ჩაც- —დახურვით და ზოგზედ წარწერე- ც ჩანს, მაგრამ ვერ გავარჩიე, რად- ნაც მაღლა იყო და ხუცურშიაც ოქლობ.

მინც არ იცის, რომ საქართველოს ე და მინდორი მორწყულია ქართ- ელების სისხლით მტერთან ბრძოლა- , რომ დაეცვათ თავიანთი დედაენა სარწმუნოება, და არ წაუკითხავს ახლშივე ამოვლებულის კალმით წერილი ისტორია, იმისთვისაც კი ეული წარმოსადგენია—თუ რა მხე- ობა ჩაუდენიათ ამ ტაძარში სპარ- ებს და ლეკებს ჩვენ სამშობლოში: თის სახლიც კი არ დაუნდვიათ და ცხლით გამოუწვავთ.

ანკელი ეკკლესიას ქვითკირისა აქვს; მარილოს ქვის ნამტვრევების ბო- ში უდგია. პანკლის ბოლოს სამხრე- ის მხარეს ჩატანებულია ჩუქურთმიანი ქვა, რომლის წარწერა მე გადმოვხატე; გადმოვიღე აგრეთვე გარეთ კედლიდამ წარწერა; ორთავე წარწერების ფორმა დაცულია ისე, როგორც თვით დედანია. ამ წარწერებს უგზავნი რედაქციას მხედრულათ გადასატანათ.

ეკკლესიას აღმოსავლეთ და სამხრეთის მხარეს, რვა-ცხრა საჟენის სიმაღლეზე, კედლები აქვს ამოყვანილები; კედლების შემდეგ იწყება თვით ეკკლესიის კედელი. დასავლეთ-ჩრდილოეთის მხარეს მრავალი ნასახლარებია, რომელშიაც მეჩვიდმეტე საუკუნემდის ცხოვრებულან ეპისკოპოზები თავის ამალით. ამ ნასახლარების ბოლოზე დასავლეთისკენ გალავნის კედელია გავლებული, რომლის წინაც არის მცირე მინდორი სალხინოთ და საქეიფოთ. მინდვრის შემდეგ იწყება ნაქალაქევი, რომელშიაც ერთ დროს დიდი ვაჭრობა ყოფილა გამართული.

აქ უცხოვრიათ ქართველთ მეფეებს ზამთარ-ზაფხულობით, რადგანაც ატენი ნაქებია ჰაერით.

აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეს, ყველაზე მაღალ, მთის წვერზედ სდგას პაწკია ძველი ეკკლესია წმიდა გიორგი დანახვისისა, მჭვრეტი მთელის ქართლისა. ჩემს ყმაწვილობისას ბევრჯერ მინახავს ოც-და-სამს აპრილს მოსული მლოცავი ფეხშიშველა ქალები ხიდის-თავიდამ და ზარდატნიდამ, როდესაც აქ ჯერ ისევ თოვლი დებულა; მაგრამ ესენი არ მოჰრიდებიან არც თოვლს და არც სიცივეს: შეთქმული თეთრი კაბით, მუხლზე დაჩოქებულებს ცხარე ცრემლის დენით შემოუვლიათ გარშემო ეკკლესიისთვის.

ამ ეკკლესიაზედ შემდეგი ლექსია, რომელიც მე ხშირათ გამიგია აქ.

წმიდა გიორგი დანახვის
მაღალ გორაზე სვენია
იქ მრავალი ნადირია
მშველი, არჩვი და მელია;
დათვს რაღა მოარბეინებს,
დახე შიში რა ძნელია!

პლატონ იოსელიანი თავის ქალაქების და ნაქალაქევების აღწერაში ამბობს, რომ

„ქალაქი ატენი ციხით ქვემო ქართლში ოთხი ვერსის მოშორებით (ექვსიც იქნება) გორიდამ, ხეობაში, რომლიდამაც გამომდინარებს მდინარე ტანა და ერთვის მტკვარს, აშენებულია ქართველთ მეფე ფარასმანისაგან 184 წელს შემდეგ ქრისტეს დაბადებისა“.

ამის იგივე პლატონი ამბობს მცხეთის აღწერაში:

„წმინდა ნინომ შემოიტანა ქრისტიანობა საქართველოში 318 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ“.

მაშ ჩანს ნინოს მოსვლამდის ქართლში ქრისტიანობა ყოფილა დარჩომილი ანდრია მოციქულის ნაქადაგევი ატენში.

გლეხი ი. დ.

III სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა № ოთხმოცდა-მეთოთხმეტე (94) ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა №№ ორ-მოცდა-მეთოთხმეტე (54) და ორ-მოცდა-მერვე (48)

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ მეხუთე (5) და მეოცე (20)

54 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ოცდა-მეთექვსმეტე (16) სამოცდა-მეთხუთმეტე (75) და სამოცდა-მეთოთხმეტე (74)

IV სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № ორ-მოცდა-მეხუთე (45)

V სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა № მეოთხე (4)

54 წლისა და ნახევრისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № ას მეათე (110)

VI სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № მეექვსე (6)

ას (100) მანეთიან ღირსებისა № მეთოთხმეტე (14)

43 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა № ოცდა-მეთექვსმეტე (36)

VII სერიისა

43 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა № სამას მეოცდა-ათე (330).

VIII სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № მეთერთმეტე (11)

ას (100) მანეთიან ღირსებისა № სამოცდა მეთვრამეტე (78).

43 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიანი ღირსებისა № ასოთხმოცდა მეცამეტე (193)

IX სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ოცდა-მეცხრამეტე (39), ორ-მოცდა-მეხუთე (45), ოცდა-მეთოთხმეტე (34) ოცდა-მეთერთმეტე (31) და ორმოცდა-მეორე (42)

43 წლისა და ნახევრისა.

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ორას-ოცდა-მეოთხე (224), მეშვიდე (7) და სამას მე სამე (303),

X სერიისა.

27 წლისა და ნახევრის.

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № მეექვსე (6)

43 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა № მეთექვსმეტე (16)

XI სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № მეთვრამეტე (18).

$43^1/_2$ წლისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ორას ორმოცდა-მესამე (223) და ორას მეთვრამეტე (218).

2) გირაოს ფურცლები გამოცემულნი 17 თებერვალს 1881 წელსა.

I სერიისა

$43^1/_2$ წლისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა № მეშვიდმეტე (17).

ას (100) მანეთიან ღირსებისა № ორ-მოცდა-მეთერთმეტე (51).

II სერიისა.

$27^1/_2$ წლისა

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა №№ რვაას მეოცე (820), ორას მეექვსე (206), ორმოცდა-მეოთხე (44), რვაას ოთხმოცდა-მეორე (882), ორას ოთხ-მოცდა-მეცამეტე (293), ხუთას ოთხ-მოცდა-მეათე (590), ექვსას მეშვიდ-მეტე (617), ოთხას მეორმოცე (440), ოთხას მეთვრამეტე (418) და ექვსას ორმოცდა-მეთვრამეტე (658).

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა №№ ორმოცდა-პირველი (41) და მეორე (2).

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ორას სამოცდა-მეთორმეტე (272), ორმოცდა-მესამე (43), სამას მეთორ-მეტე (312), ას სამოცდა-მერვე (168) და ოთხას ოც და-მეექვსე (426).

43 წლისა და ნახევრისა.

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ოცდა-მესამე (23) და ოცდა-მეექვსე (26)

III სერიისა

27 წლისა და ნახევრისა

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა № მეშვიდე (7)

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ორმოცდა-მეშვიდმეტე (57), სამოცდა მერვე (68), ას მეათე (110), ოცდა-მეოთხე (24), მეთექვსმეტე (16), ას ორმოცდა-პირველი (141), სამოცდა-მეხუთე (65), სამოცდა-მეთერთმეტე (71) ორმოცდა-მეცამეტე (53) ოცდა-მეშვიდე (27)

43 წლისა და ნახევრისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ მეთექვსმეტე (16), ოთხმოცდა-მეშვიდმეტე (97), სამოცდა-მერვე (68), ოცდა-მეოთხე (24), სამოცდა-მეთერთმეტე (71) და მეცამეტე (13)

IV სერიისა

$27^1/_2$ წლისა

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა №№ მეათე (10) და მეცხრე (9).

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ ორმოცდა-მესამე (43), მეცხრე (9), ორმოცდა-მეოთხე (44) და მეთოთხმეტე (14).

$43^1/_2$ წლისა

ას (100) მანეთიან ღირსებისა №№ მეათე (10) და მეორმოცე (40).

მეთხუთმეტე VX ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები 1883 წ. 1 იანვრამდის სარგებლობენ სარგებლით.

ამ ტირაჟში გამოსულ გირაოს ფურცლების მაგიერ ფულის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში, ბანკის კასაში ქ.ქ. პეტერბურღში და ვარშავაში ბანკირის ბ. ვაველბერგის კანტორაში. (1—1)

---

**ისყიდებიან ცხენები**, ვარგისნი სამუშაოდ, შესაბმელად, ფურგუნისათვის და სხვ.

ადრესი: მვროპის სასტუმრო, № 22. (5—1)

---

**ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში** (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბ ღთან საკუთარს პავილიონში).

**მიიღება ხელის მოწერა**

**1883 წლისა**

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და საზღვარ გარეთებზედაც. (20—1)

---

**ОБЪ ИЗДАНІИ**

**въ 1883 году**

**Въ г. Тифлисѣ**

**еженедѣльнаго юридическаго журнала**

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

*(годъ третій)*

*Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ,* въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ,* вытекающимъ *изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе* важнѣйшихъ *распоряженій и узаконеній правительства,* краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) *о выдающихся судебныхъ дѣлахъ,* особенно интересныя *гражданскія рѣшенія,* случаи изъ судебной жизни и практики (*разныя извѣстія*), *корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника,* перечень *новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеній:* Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной Палаты, *судебный указатель* и пр.

---

*Редакція* журнала—Тифлисъ, Давидовская ул. д. Кананова.

*Администрація* (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул. д. Меликова.

*Подписная цѣна на журналъ,* съ доставкою и пересылкою, *на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс.—1 р. 20 к.,*

*Разсрочки въ платежѣ* денегъ допускается—для годовыхъ подписчиков: *при подпискѣ 4 руб. и въ февралѣ и мартѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и чрезъ мѣсяцъ еще 3 р.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія,* казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ и С.-Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимога и въ *Одессѣ* въ газетной торговлѣ *Піотровскаго* (Дерибасовская улица).

Редакторъ А. В. *Степановъ.*

Издатель А. С. *Френкель.*
(Присяжный Повѣренный)

(6—1)

---

**ვეძებ ღირსეულ მეღვინეობის [illegible]**

უ-შუა კაცოდ. მსურველთ ადრესი შეუძლიანთ დასტოვონ საქმის დასახელებით—ფონ ვიხმანის ბიბლიოტეკაში, გოლოვინის პროს. სახლი თ. მუხრანსკისა. (3—2)

---

**20 გიორგობისთვეს, შაბათს,**

**დანიშნულია**

## კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოსაკვლევი—ახლები, რომელნიც გარჩეულ იქმნებიან კრებაზე.

უმორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება—თავის ცნობები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе, ანუ І. Мревлишвили.

ადგილი თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (10—7)

---

**ახალი წიგნი**

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

**შემოკლებული**

**საქართველოს**

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

**ტაქსის**

**საჭმელ-სასმელთა ნოვაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებში 1 ნოემბრიდამ 15 ნოემბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილი თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 9 კ. |